[illegible] თოფურიას [illegible] [illegible]

287 1 201

ფონდი 287 Опись 1 ერთ. ед. хр. 201

16 01 2025

43.

ჩვენს ბიბლიოთეკებში

სახალხო პოეტის სახელობისა

იმ საღამოს გიორგი ლეონიძის დაბადების დღე აღნიშნეს მისივე სახელობის ბიბლიოთეკის მკითხველებმა. საღამო გახსნა ბიბლიოთეკის გაძგემ რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა თამარ ბუზიაშვილმა. დამსწრეებს სახელოვანი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ეაუბრა მკითხველი ლ. ჭოიკიშვილი. ლექსები წაიკითხეს ნ. ქადაგიძემ, ქ. კაკაურიძემ, მ. გაფრიხდაშვილმა, შ. ასაიშვილმა, მ. ელუაშვილმა, ზ. ზაქარიაშვილმა, ც. რევაზიშვილმა, მ. ჭიღლაძემ, ლ. ძსხრიკაძემ, მ. მესხმა, ხ. უთმელიძემ, თ. ლებანიძემ. მოგონებებით გამოვიდნენ მწერლები: ს. წვერავა, შ. ამისულაშვილი, ვ. გორგანელი, ს. ნარიმანიძე, თ. ჯანგულაშვილი. საღამოს ესწრებოდნენ გ. ლეონიძის ახლო ნათესავები.

თბილისში პავლოვის ქუჩაზე მდებარე ეს საქალაქო ბიბლიოთეკა 1936 წელს დაარსდა.

ბიბლიოთეკა დამაკმაყოფილებლადაა დაკომპლექტებული ცოდნის სხვადასხვა დარგების მიხედვით და ძირითადად აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნას. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ემსახურება 4 000 ათასამდე მკითხველს, რომლებზეც იცემა 80 ათასამდე წიგნი.

ხშირად ტარდება ლექცია-მოხსენებები, საუბრები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები და სხვა. ეწყობა ლიტერატურის თემატური გაფოფენები.

გ. ლეონიძის სახელის უკვდავსაყოფად ბიბლიოთეკაში ძოწყობილია სტენდი თემაზე: „სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა", მასზე წარმოდგენილია პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და ჭედური ილუსტრაციები.

საბიბლიოთეკო საქმისა და წიგნის პროპაგანდაში მიღწეული წარმატებებისათვის ბიბლიოთეკა დაჯილდოებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროების დიპლომებით, ხოლო ბიბლიოთეკის გამგე თამარ ბუზიაშვილი — საპატიო ნიშნის ორდენით.

მკითხველთა სიყვარულით სარგებლობენ ბიბლიოთეკის მუშაკები ს. ჭუმბურიძე, ა. გორგიაშვილი, ჯ. უთძელიძე. ისინი ენერგიას არ იშურებენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ საბჭოთა ადამიანის კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეში.

ლ. კიკნაველიძე

„ნიკალაძეური", 1975, 8 იანვარი, №1

გამოიცა მეოთხედ

ამ რამდენიმე თვის წინათ გაზეთი „ქუთაისი" იუწყებოდა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საქალაქო გაერთიანებამ მოაწყო აკ. თოფურიას წიგნის „ლ. ქიაჩელის შემოქმედების სწავლება სკოლაში" — *საჯარო* განხილვა.

ლ. ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი აკ. თოფურიას მეთოდიკური მონოგრაფია პირველად 1952 წელს, ე. ი. 22 წლის წინათ დაიბეჭდა. პედაგოგ-ლიტერატორთა ინტერესი კი მისდამი, როგორც ეს გაზეთის ინფორმაციიდანაც ჩანს, დღემდე არ შეხელებულა.

ამ პირველ ორიგინალურ მეთოდიკურ ნაშრომს 1957-1959 წლებში მოყვა პროფესორის ფუნდამენტური წიგნი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა".

წიგნის მაღალმა მეცნიერულმა დონემ, საკითხების განხილვის სიღრმემ და მრავალმხრიობამ იმთავითვე განაპირობა *მისი ფართო* საზოგადოებრივი ღირებულება. 1963-1964 წლებში ეს წიგნი მეორეჯერ გამოვიდა — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ იგი დამტკიცებულ იქნა ძირითად სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისათვის. 1968 წელს განხორციელდა ორივე ნაწილის ერთდროული მესამე გამოცემა, ხოლო გასულ წელს გამომცემლობა „განათლებამ" მკითხველებს 4 000-იანი ტირაჟით მიაწოდა ამ წიგნის მეოთხე გამოცემა. ამიერიდან იგი ითვლება ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის *პედაგოგიური* ინსტიტუტების ფილოლოგიის ფაკულტეტების ქართული ენისა და ლიტერატურის გაიყოფილებების სტუდენტთათვის.

წიგნის სხვადასხვა გამოცემის ერთმანეთთან შეჯერება ცალსახად ადასტურებს, რომ გამოცემიდან გამოცემამდე ავტორს იგი თანდათან დაუძლეფია, გაუუჯობესებია მისი სტრუქტურულ-შინაარსობრივი საფუძვლები.

წიგნი თანამიმდევრულად არის გაშუქებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ლიტერატურის სწავლების თეორიის, ისტორიისა და პრაქტიკის ყველა ის საკვანძო საკითხი, რაც დაკავშირებულია ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური და მორალურ-ეთიკური აღზრდის ამოცანებთან. სწორედ ეს განსაზღვრავს საველძღვანელოსადმი მკითხველთა ინტერესს. საყურადღებოა, რომ ამავე მეცნიერმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოამზადა და გამოსცა ნარკვევები ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიიდან, რაც აგრეთვე იმ საჭირო მეთოდიკური ლიტერატურის რიგებს ავსებს, რომლებზეც ითხოვება ჩვენში ასე დიდია.

აკ. თოფურიას აღნიშნული წიგნები ხელს უწყობენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას და ამ პროცესის სწორად წარმართვას რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

გ. იოსელიანი